პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი ოთხშაბათი 7 მაისი № 105 (17748) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ომის ვეტერანები — შრომის მწყობრში

მინდორშია სამი დიდების ორდენის კავალერი

ᲨᲘᲜᲐᲛᲝᲣᲚᲕᲔᲚᲗᲐ დიდების ობელისკთან, სოფელში რომ დგას, სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალერი შეჩერდა (უკვე მეორე წელია, რაც ეს ობელისკი კისისხევში შეფეთქმა — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა ააგეს). მას შემდეგ ეს ადგილი გ. მტირალაშვილისათვის უწმინდეს ადგილად იქცა. დღე არ გავა, რომ გიორგიმ არ გაიაროს მემორიალის წინ, არ დახედოს მის შემოგარენს, ეზოში პაწია უმანკო ხელებით გაშენებულ ყვავილნარს (ყვავილნარს სამეულო სკოლის მოსწავლეები უვლიან) — თითოეულ ყვავილში თანამებრძოლთა სიცოცხლეს ხედავს, სიცოცხლეს, რომელიც დღეგანდელ ბედნიერ ცხოვრებას შეეწირა.

შემდეგ კი გორნების თვალს აავლებს ხოლმე მთელ თავის საბრძოლო და შრომითს გზას. ახსენდება 1942 წლის 17 მარტი, როცა 17 წლისა მოხალისედ წავიდა სამამულო ომში. სოფელში გაზრდილმა ახალგაზრდამ ბრძოლის ველზე ისახელა თავი. ჩრდილოეთ კავკასიის დაცვისათვის, „კრიმსკაიას“ მაღლობის განთავისუფლებისათვის მან მესამე ხარისხის დიდების ორდენი დაიმსახურა, დნეპრის გადალახვისათვის — მეორე ხარისხისა, ხოლო კორსუნ შევჩენკოში მტრის ჯგუფის განადგურებისათვის — პირველი ხარისხის დიდების ორდენი. მის საბრძოლო დიდებაზე უამრავი მედალი და ორდენი ლაღადებს, მაგრამ ყველაზე მეტ სიხარულს მაინც 1943 წლის გახსენება გვრის, როცა იგი, როგორც მამაცი მებრძოლი, სკკპ რიგებში მიიღეს.

კვლავ მხედრული ნაბიჯით სცილდება მემორიალს და კისისხევის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის ველ-მინდვრებისაკენ მიიჩქარის. გიორგი მემინდვრე აგრონომია. აქაც ასეთივე შემართებით ჰქადაგს ახალ-ახალ გამარჯვებებს. შარშან მისმა აგრეგანყოფილებამ 120 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 22,7 ცენტნერი მარცვლეულის ნაცვლად 27,4 ცენტნერი მოიწია, 10 ჰექტარი ნათესი ფართობის თითოეულ ჰექტარზე კი 30 ცენტნერის ნაცვლად 46,7 ცენტნერი თივა მოთიბა. უხვად აწარმოვა აგრეთვე სილოსი, საჯიგარ ძირხვენები... არც ყურძნის მოყვანის ოსტატებს ჩამორჩება. ახლა კი მეათე ხუთწლედის ბოლო წელია და კვლავ ახალ-ახალ საჩუქრებს უმზადებს სამშობლოს. თავს არ შეიკავებენო, ამბობს გიორგი და იმ სოფლის წმინდა ადგილს ფიცულობს, სადაც თვითონ შრომაში ყოველთვის შეეპას პოულობს.

დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ

მუდამ მოწინავე

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ გამარჯვებული კაცის სახელით იცნობენ თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს გოგა დათაშვილს. ფრონტულ გამარჯვებებს მის მკერდზე აკიაფებული წითელი დროშის ორდენი, შრომითს ფრონტზე გამარჯვებას კი ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მოწმობს. კიდევ ათობით საბრძოლო მედალი და ი. ბ. სტალინის თხუთმეტი მაღლობა მისი კაცობისა და მამულიშვილობის დასტურია.

შრომითს ფრონტზე ყოველთვის იმარჯვებს გოგა დათაშვილის ბრიგადა. შარშან ხილის, ყურძნის და ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმები მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

ეს გაზაფხულიც გოგას ბრიგადის შრომითი გამარჯვებების მაუწყებელია. საგულდაგულოდ არის მოვლილი 14 ჰექტარი ხილის ბაღი და 18 ჰექტარი ვენახი. ძსლა ბრიგადის წევრები ხეხილს მესამედ წამლობენ. არც ვენახებს აკლებენ ხელს. საგაზაფხულო სამუშაოებს გამარჯვების აღსანიშნავად 9 მაისს მოვრჩებით, — ამბობს ბრიგადირი.

მეათე ხუთწლედის მეხუთე წელს კვლავ უხვად წამოვა თამარაშენული მიწის ბარაქა — სურნელოვანი ხილი და სამამპანურე ყურძენი. კვლავ მადლიერების სიტყვები ეთქმის სახელოვან მეომარსა და მშრომელს — გოგა დათაშვილს.

Გ. ᲗᲝᲓᲝᲔᲕᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კოსმოსური ვახტის სადაგი დღეები

ᲖᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 6 მაისი. (საკდესი). გრძელდება კოსმონავტების ლეონიდ პოპოვისა და ვალერი რიუმინის ორბიტული ფრენა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ეკიპაჟმა პრაქტიკულად დაამთავრა „პროგრეს-9“ სატრანსპორტო ხომალდის განტვირთვის სამუშაოები. მიტანილი ტვირთის მეტი ნაწილი, მათ შორის სურსათი, სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემის რეგენერატორები, დამატებითი მოწყობილობა და აპარატურა კოსმონავტებმა გადაიტანეს „სალიუტ-6“ სადგურში. განხორციელდა საწვავით გაერთიანებული ძრავის დანადგარის ამგაწყობა.

„წყაროს“ სპეციალური სისტემის დახმარებით გადატუმბეს წყალი სატვირთო ხომალდის ავზებიდან სადგურის ავზებში. ასეთი ოპერაცია პირველად შესრულდა პილოტირებული კოსმოსური ფრენის პრაქტიკაში.

სადგურის ატმოსფეროს რეგენერაციის მეთოდების სრულყოფისათვის მონაცემების მიღების მიზნით მოეწყო დახმარი ეკოლოგიური სისტემის პირობებში გაზის გარემოს შედგენილობის შეცვლის დინამიკის შესასწავლი ექსპერიმენტები.

დღეს ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი ფიზიკალურად აკვირდებიან და ფოტოსურათებს ულებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებსა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიას, დემონტაჟს ახდენენ და სატვირთო ხომალდში გადაალაგებენ გამოყენებული მოწყობილობა. დაკვირვება აგრეთვე ელექტრგამეტრზე დოზიმეტრული ფიზიკური დატვირთვის დროს ფიზიკური ვარჯიშების შესრულებისას კოსმონავტთა გულისა და სისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით „სალიუტ-6“ — „სოიუზ-35“ — „პროგრეს-9“ ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲗᲐ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იოგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის იოსიპ ბროზ ტიტოს გარდაცვალების გამო მიიღეს გადაწყვეტილება გაგზავნონ ბელგრადში სსრ კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ნ. ნ. როდიონოვი.

ᲔᲜᲕᲘᲕᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ

6 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, მ. ს. გორბაჩოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს ეწვივნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის იოსიპ ბროზ ტიტოს გარდაცვალების გამო. მათ წუთიერი დუმილით სკკპ პატივი იუგოსლავიის გამოჩენილი სახელმწიფოს და პარტიული ხელმძღვანელის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლის ხსოვნას, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთხმრივი თანამშრომლობის განვითარებას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს სამძიმრის სამგლოვიარო წიგნში.

სამძიმარი

6 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოში მივიდნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, რათა ღრმა მწუხარება გამოეთქვათ იმის გამო, რომ გარდაიცვალა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე იოსიპ ბროზ ტიტო, იუგოსლავიის ხალხთა გამოჩენილი ხელმძღვანელი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის მებრძოლი.

□

იოსიპ ბროზ ტიტოს დაკრძალვის დღეს მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში სამგლოვიარო ალმების გამოჭიდებენ.

(საკდესი).

7 ᲛᲐᲘᲡᲘ — ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲓᲦᲔ

კავშირგაბმულობა ახალ საფეხურზე

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხელისუფლების წლების მაჩქარზე ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი კავშირგაბმულობის საშუალებების ტექნიკური აღჭურვისა და შემდგომი განვითარებისა თვის. შეიქმნა ახალი დარგები — საქალაქთაშორისო სატელეფონო, ქალაქისა და სოფლის სატელეფონო, რადიოფიკაციის, რადიოკავშირის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დარგები. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შედგენილი მომდინარე და პერსპექტიული გეგმების თანდათანობით განხორციელების შედეგად რესპუბლიკის კავშირგაბმულობამ სრულიად იცვალა სახე.

დღეს რესპუბლიკის მოსახლეობასა და სახალხო მეურნეობას ემსახურება 1800-მდე კავშირგაბმულობის საწარმო, რომლებიც ყოველწლიურად ამუშავებენ 556 მილიონ წერილობითს კორესპონდენციას, 35000 ათას ფასიან წერილსა და ბანდეროლს, 16.400 ათას ამანათს, 13.600 ათას ფულის გზავნილსა და პენსიას, 2950 მილიონ პერიოდულ გამოცემას, 56600 ათას დეპეშას, 24865 საქალაქთაშორისო ლაპარაკსა და სხვა, ესე იგი დღეღამეში კავშირგაბმულობის მუშაკები აწარმოებენ ერთა მილიონზე მეტ ოპერაციას. კავშირგაბმულობის საწარმოებში ყოველწლიურად ბრუნვაშია სამი მილიარდი მანეთი.

სრულიად იცვალა სახე საფოსტო კავშირმა. დაენერგეთ საწარმოო პროცესების ავტომატიზებული და მექანიზებული კომპლექსური სისტემები. განახორციელეთ საფოსტო გზავნილებებისა და პერიოდული გამოცემების მოტორიზებული დატარება, საკასო ოპერაციების მექანიზაცია ელექტრონული კომპლექსის „ოდგას“ სისტემის გამოყენებით, 1979 წლიდან ცენტრალური გაზეთების მიღება ფოტო-ტელეგრაფით, რამაც საგრძნობლად დაჩქარა გაზეთების გამოსვლა და ხელისმომწერთათვის მიწოდება.

სწრაფი ტემპით ვითარდება სატელეგრაფო კავშირი. მნიშვნელოვანი მიღწევებია საქალაქთაშორისო სატელეფონო დარგის განვითარებაში. საკმარისია ითქვას, რომ 1950 წელს 74 რაიონული ცენტრიდან მხოლოდ 12-ს ჰქონდა სადღეღამისო კავშირი ქალაქ თბილისთან. დღეისათვის კი ყველა რაიონული ცენტრი და ბევრი მსხვილი დასახლებული დაბა ჩართულია დედაქალაქთან დღე-ღამის განმავლობაში. 1965 წელთან შედარებით 10-ჯერ და მეტად გაიზარდა საქალაქთაშორისო სატელეფონო არხების რაოდენობა, სამჯერ — საქალაქთაშორისო სალაპარაკო პუნქტების რაოდენობა.

წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი საქალაქთაშორისო ავტომატური სატელეფონო სადგური, წელსვე დაგეგმილია საქალაქთაშორისო სატელეფონო ხაზების მკვეთრი ზრდა, რაც საგრძნობლად გაუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, დააჩქარებს აბონენტების დაკავშირებას სხვადასხვა ქალაქთან.

რესპუბლიკაში ქალაქისა და სოფლის სატელეფონო კავშირის განვითარებას უდიდესი ყურადღება ეჩქცევა. მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულია რაიონულ ცენტრებში არსებული ხელით მომსახურე სატელეფონო სადგურების კოორდინატული სისტემის სადგურებით შეცვლა. ქალაქის სატელეფონო სადგურების ტევადობა წლის ბოლოსათვის 301 ათას ნომერს მიაღწევს. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის სატელეფონო ქსელის აბონენტების ზრდის ხუთწლიანი გეგმა წარმატებით სრულდება.

სწრაფი ტემპით ვითარდება სოფლის სატელეფონო კავშირიც. დღეისათვის მოქმედებს 900 სატელეფონო სადგური, რომელთა საერთო ტევადობაა 70 ათასზე მეტი ნომერი. იზრდება საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების შიდასაწარმოო სატელეფონო კავშირის ობიექტების რაოდენობაც.

ცნობილია, რომ პირველი რადიოკვანძი რესპუბლიკაში თბილისში აშენდა, შემდეგ ბათუმში, და უკვე 1929 წელს მათმა რიცხვმა 21-ს მიაღწია. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 240-ზე მეტი რადიოკვანძი და 600 ათასამდე რადიოწერტილი. პირველი რადიოპროგრამას ისმენს რესპუბლიკის მოსახლეობის 80 პროცენტი. ადაილების ხარისხის გაუმჯობესებისა და ზონის გაფართოების მიზნით დაგეგმილი გვაქვს ახალი მძლავრი რადიოგადამცემი ცენტრის აგება.

ტელევიზია შედარებით ახალია ჩვენი რესპუბლიკისათვის. მისი ისტორია 1957 წლიდან იწყება. დღეისათვის რესპუბლიკაში 7 მძლავრი რადიოტელეგადამცემი სადგური და 160 მცირე სიმძლავრის რეტრანსლატორი მოქმედებს, გრძელდება სამუშაოები შავ-თეთრი და ფერადი ტელეგადაცემების, ზონების გაფართოებისათვის.

კავშირგაბმულობის საშუალებების სწრაფი ტემპით განვითარების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დახმარებით ქვეთრად გაიზარდა კაპიტალური დაბანდების მოცულობა, უკანასკნელ წლებში დაიწყო მეტად მნიშვნელოვანი ობიექტების შენებლობა, რომლებიც წლეულს და მეთერთმეტე ხუთწლედში დამთავრდება.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ზიანდება ტელეფონები, ჭიანურდება მათი აღდგენა, ყველა საქალაქთაშორისო შეკვეთა არ სრულდება გათვალისწინებულ ვადაში, დეპეშების გარკვეული რაოდენობა აღრესატებს ბარდება დაგვიანებით ან დამახინჯებული ტექსტით, ბევრი საფოსტო გზავნილება და პერიოდული გამოცემები აღრესატამდე დროულად არ მიდის და სხვა. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

თავის ტრადიციულ დარგობრივ დღესასწაულს — რადიოს დღეს კავშირგაბმულობის მუშაკები ეგებებიან საყოველთაო-სახალხო შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით. ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და დიდ სამამულო ომში გამარჯვების 35-ე წლისთავის დღესასწაულობით.

ახლა რესპუბლიკის მშრომელები ენერგიას არ იშურებენ, რათა წარმატებით დაამთავრონ მეათე ხუთწლედი და ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. ამ საერთო-სახალხო ლაშქრობაში რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკებსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი.

Ვ. ᲙᲝᲒᲐᲮᲘᲫᲔ,
საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი.

ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მომზადებული მოკლე სტატისტიკური ცნობარი „სსრ კავშირი 1979 წლის ციფრებით“ (გამომცემლობა „სტატისტიკა“). იგი შეიცავს მონაცემებს საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ, აგრეთვე ერთმანეთთან არის შედარებული 1913, 1940, 1965, 1970, 1975 და სხვა წლები.

კრებულში გამოქვეყნებულია ზოგიერთი ცნობა, რომლებიც სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას ახასიათებენ. მთელი რიგი მაჩვენებლები შედარებულია კაპიტალისტური ქვეყნების შესაბამის მონაცემებთან. (საკდესი).

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვიზიტი

6 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ედვარდ გიროლ ბაბიუხი.

აეროდრომზე ე. ბაბიუხს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საუბრის დროს. **ᲡᲐᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**

ᲡᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

6 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ კრემლში მოლაპარაკებას შეუდგნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ე. ბაბიუხი.

მოლაპარაკებაში მონაწილეობენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, კ. თ. კატუშევი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. თ. მალცევი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ბ. ი. არისტოვი.

პოლონეთის მხრივ — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დაგემვის კომისიის თავმჯდომარე ტ. ვეგაშჩიკი, საგარეო ვაჭრობისა და საზღვაო მეურნეობის მინისტრი რ. კარსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. ოლშევსკი, სხვა ოფიციალური პირნი.

მოლაპარაკების დროს განიხილეს სკკპ XXV ყრილობისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებების, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გიროკის შეხვედრების დროს მიღწეულ მორიგებათა შესაბამისად საბჭოთა კავშირისა და სახალხო პოლონეთის ძმური ურთიერთობის და ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საკითხები.

იმსჯელეს ორივე მხარისათვის ზოგიერთ საინტერესო პრობლემაზე.

მოლაპარაკება, რომელიც გულთბილად, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, გაგრძელდება.

(საკდესი).

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ Ე. ᲑᲐᲑᲘᲣᲮᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

6 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ე. ბაბიუხი, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად არის საბჭოთა კავშირში.

გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გულთბილად მიუღოცა ამხანაგ ე. ბაბიუხს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მაღალ პოსტზე დანიშვნა და წარმატებები უსურვა პოლონეთის მთავრობას პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მუშაობაში.

აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობა სულ უფრო ღრმა, მრავალმხრივი და მომწიფებული ხდება. მხარეებმა გამოთქვეს მოსაზრებანი, თუ როგორ სრულყონ ეს თანამშრომლობა პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და სახელმწიფო საქმიანობის სხვა სფეროებში.

საუბარმა გულითად, ამხანაგურ ატმოსფეროში და სრულ ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

6 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ე. ბაბიუხს.

ე. ბაბიუხთან ერთად სადილად იყვნენ მისი თანმხლები ოფიციალური პირნი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. ოლშევსკი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, მ. ს. სოლომენცევი, კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვა ოფიციალური პირნი.

ა. ნ. კოსიგინმა და ე. ბაბიუხმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საშენ მასალათა მრეწველობა დღის მოთხოვნათა დონეზე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების განახლება გახდა ტექნიკური პროგრესის ძირითადი რგოლი, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლის საფუძველი, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო-სამოქალაქო მშენებლობის შემდგომი განვითარების სტიმული. სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ა. ი. იაშინმა, რომელიც ამ დღეებში რესპუბლიკას ეწვია, მადალი შეფასება მისცა ამ სამინისტროს სისტემაში შემავალი საწარმოების მუშაობას, — აღნიშნა ცალკეული ნაკლოვანებანი, განიხილა დარგის შემდგომი განვითარების საკითხი.

ამხანაგი ა. ი. იაშინი გაეცნო რუსთავის ცემენტის ქარხნის, თბილისის კერამიკული კომბინატის, საქართველოს საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანების თბილისის საშენ მასალათა კომბინატის მუშაობაში.

თათბირზე, რომელმაც განიხილა დარგის განვითარების ზოგიერთი საკითხი, შეიმუშავეს მთელი რიგი ღონისძიებანი, მათ შორისაა საქართველოს სს რესპუბლიკაში ცემენტის წარმოების გადიდება, ცემენტის ქარხნისათვის ნედლეულის — კირქვის, თიხის ახალი კარიერების მშენებლობა, მეთურმეტე ხუთწლედში მოქმედი ცემენტის ქარხნების რეკონსტრუქცია, სამშენებლო საშენ მასალათა კომბინატის რეკონსტრუქცია, რომლის სიმძლავრე წელიწადში 60 მილიონი ცალი აგურით გაიზრდება.

ამხ. ა. ი. იაშინი შეხვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზ. ა. პატარიძეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს გ. ვ. კოლბინს. შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. ქედიშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე გ. ა. ანდრონიკაშვილი, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ო. ი. ლოლაშვილი, სხვა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები. (საქინფორმი).





ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საბჭოთა ხელმძღვანელები იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოში. **ᲡᲐᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**

სურათზე: აქტივის კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი. ჯ. ლომაძის ფოტო.

ჩვენი შემართება — სამშობლოს!

დღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში იხსნება რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრება.

სტუდენტთა პირველი აქტივის კრებიდან, რომელიც შარშან მაისში გაიმართა, ზუსტად ერთმა წელმა განვლო. როგორი იყო პირველი აქტივის კრების მოთხოვნათა მიხედვით რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა და როგორი იქნება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, ღირსეული მოქალაქეების, აქტიური პოლიტიკური მებრძოლების აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები — აი საკითხები, რომელთა ირგვლივაც საქმიანი სჯა-ბაასი ექნებათ ჩვენს სახელოვან სტუდენტობას, ჩვენი ხვალინდელი დღის მშენებელ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს.

გუშინ, 6 მაისს, სტუდენტთა დიდი შეკრების მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი თბილისის ცენტრალურ მოედანზე, ეწვივნენ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს; ამავე დღეს კრების მონაწილენი მიღებაზე იყვნენ საქართველოს პროფსაბჭოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში, შეხვედრები ჰქონდათ სამინისტროებსა და უწყებებში, შემოქმედებითს კავშირებში.

სტუდენტთა ერთი ჯგუფი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასაც ეწვია. ქალიშვილები და ჭაბუკები ესაუბრნენ რედაქციის ჟურნალისტებს მათთვის საინტერესო პრობლემებზე, წამოაყენეს საინტერესო წინადადებები, შემოგვთავაზეს ახალი თემები, რუბრიკები.

რედაქციის მუშაკებმა უპასუხეს სტუდენტთა შეკითხვებს და დახმარება აღუთქვეს მათ მიერ წამოჭრილი ზოგიერთი საკითხის მოგვარებაში.

ზრუნვის ჯასუხად

რა გაკეთდა ჩვენს ინსტიტუტში საქართველოს სტუდენტთა რესპუბლიკური აქტივის პირველი კრების შემდეგ, რომელიც შარშან გაიმართა? მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს მოვიყვანთ: სტუდქალაქში გამოგვიყვეს ახალი კორპუსი საერთო საცხოვრებლისათვის, რომელსაც საკუთარი ძალებით ვარემონტებთ და მალე დავამთავრებთ კიდეც ამ სამუშაოებს. გარდა ამისა, ინსტიტუტში ამოქმედდა ახალი კინოლმოწყობილი, 160-ადგილიანი სასადილო, საგარდერობო, განმრთელობის დაცვის პუნქტი, ბევრი რამ გაკეთდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, ერთერთ კორპუსს ემატება სართული, რომელშიც მოთავსდება ჩვენი, ზოგად-ტექნიკური ფაკულტეტის სახელოსნო...

ვიცილობთ ასეთ ზრუნვას კარგი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით ვუპასუხოთ. ჩვენს კურსე 25 სტუდენტია. ყველამ დროზე და წარმატებით ჩაბარეთ სასესხო გამოცდები. არა გვყავს არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო სტუდენტი.

დიახ, შარშანდელს შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელსა და მოსაგვარებელს, საფიქრალსა-ზრუნვას რა გამოლევს? დარწმუნებული ვარ, თუ თითეული ჩვენგანი ყოველ ლონეს იხმარს დღეგანდელი აქტივის კრების გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის (და ეს უთუოდ ასეც იქნება), მაშინ სტუდენტ ახალგაზრდობაზე ასეთი ზრუნვის პირობებში ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გაგვიადვილდება.

გია ჩახაია,
თბილისის ს. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრი.

ახლენილი ოცნება

1978 წელს საბჭოთა კავშირში პირველად შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტთან გაიხსნა პანტომიმის ჯგუფი, აგვიხდა ოცნება, გავხდით სტუდენტები და საქართველოს, სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. შალიკაშვილის ხელმძღვანელობით მიმიკის ხელოვნების ვეუფლებით, სწავლის პარალელურად ვმონაწილეობთ პანტომიმის თეატრის სპექტაკლებშიც.

ჩვენს ჯგუფში სულ ცხრა სტუდენტია. მონდომებითა და შეუპოვარი შრომით იმას მივაღწიეთ, რომ არ გვყავს სამოსანი, ჯგუფში მხოლოდ ფრიადოსნები და კარგოსნები არიან. თითქმის ყველა სტუდენტი ჩაბმულია საზოგადოებრივ საქმიანობაში, სტუდენტთა რესპუბლიკურ თუ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებში. ოღონდ სიეიზოფრენიკებზე, აუდიტორიებში არ გვყოფნის, ამის გამო გვიჭირს კრებების გამართვა და სხვა ღონისძიებების მოწყობა.

კიდევ ორი წელი და, ალბათ, პანტომიმის თეატრის დასს შეგავსებთ, თუმცა ამ დიდი მიზნის მიღწევა ადვილი როდია, მაგრამ მხარდაჭერა გვაქვს, ამის დასტურია სტუდენტთა ამქამინდელი დიდი შეკრებაც, რომლის მონაწილენიც ჩვენ ვართ.

ნატო ჯოხაძე,
გოდერძი ავსაჯანიშვილი,
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები.

სიმაღლე გვეძახის მამულის

გედნიერი ვარ, რომ მეორედ მიწევს საქართველოს სტუდენტთა რესპუბლიკური აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

ყანუმეორებელი შთაბეჭდილება დატოვა შარშანდელმა აქტივის კრებამ, ღელვით ველოდი ამ შეხვედრასაც...

შარშან აღინიშნა, რომ ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწორად არ უდგებიან ლენინური ჩათვლების საკითხს. რა დასკვნები გამოიტანა ამ სამართლიანი კრიტიკიდან ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტმა? მან იმსჯელა ამ საკითხზე და რამდენიმე კონკრეტული ღონისძიებაც განახორციელა. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო — ამ მხრივ ჩვენთან საქმე გამოსწორდა...

ყველა ჩემს ამხანაგს, ჩემს ბათუმელ თანატოლებს შეგნებული აქვთ თავიანთი მოვალეობა მამულის წინაშე. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ბათუმის სტუდენტი ახალაზრდობა თავის თანატოლებთან ერთად მუდამ მოწინავეთა რიგებში იყოს.

ბელა ქებურია,
ქ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, ინსტიტუტის სტუდენტთა ხამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 35-ე წლისთავისათვის

იმ ჭაბუკის წილადაც...

კომკავშირელ გოგონათა ბრიგადამ გადაწყვიტა

— აქ ძალიან კარგი გაზაფხულია და განთიადები ხომ საოცრად მშვენიერი... მაგონდება თბილისი რომელიღაც გაზაფხულის რომელიღაც დღეს... მენატრება მთები, ცა საქართველოსი, ხეები, ჩრდილები, ბალახი... — სწერდა მირზა გელოვანი თავის დას ფრონტიდან. მე გამარჯვება დამბრუნებს თქვენთან, სწორებთანო — სწამდა. სწამდა ისიც, რომ განუმეორებლად ლამაზი იქნებოდა „ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების“. მართლაც ასეთი იყო ცხრა მაისის მზე, მაგრამ მირზამ ველარ იხილა იგი.

იმ დღეს შესვენებაზე კომბინატის ადგილობრივი რადიოკვანძით მირზა გელოვანის ლექსებს, მის მიერ ფრონტიდან გამოგზავნილ წერილებს კითხულობდნენ. ამ დროისთვის საამქროში სტენდი უკვე გაფორმებული იყო — მირზას სურათი, მისი ლექსის ტაეპი. თითქოს და... მართლაც აქ იყო პოეტი, მათთან, მათ გვერდით.

როგორც კი ჩათავდა ადგილობრივ მასთან ერთად უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების კიბე-კენჭილება, ახალგაზრდებმა საშენ მასალათა კომბინატს მიაკითხეს. ძირითადად 101-ე სკოლის ყურსდამთავრებულები იყვნენ. სხვადასხვა ბრიგადაში დანაწილებას ერთად მუშაობა გვირჩევნიაო. ასე გაჩნდა კომბინატში „კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ჩამოყალიბების იდეა, ხოლო შემდეგ — კიდევ ერთი შეკრული, პატარა, მაგრამ ჯანსაღი უჯრედი დიდი კოლექტივისა — სულ ჩვიდმეტი კაცი.

აქამდე მათი ცხოვრებისეული გამოცდილება, ცოდნის მარაგი მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებით და მისაღები გამოცდებით განისაზღვრებოდა. ახლა კი უკვე ამოდენა წარმოება — თიხა, მინა, ბროლი, უფრო სუბ ქვეშები გაფაფული ხელები, დახვეწილი ოსტატობა.

დამხვდურზე ბევრია დამოკიდებული და იმათაც, ვისაც პირველ ხანებში გოგონების დამრიგებლობა დააკისრეს, მართლაც დიდი როლი შეასრულეს არა მარტო მათს პროფესიულ დაოსტატებაში, არამედ ცხოვრებაშიც, მათი — ეთერ მამფორიას, ელენე მირველოვას, ქალთა ძმასშვილის ოსტატობა და პედაგოგიური ალღო გოგონების მოწადინებას დაემთხვა და... სულ ცოტა დრო დასჭირდა იმას, რომ ახალი საამქროთამამად ამოსდგომოდა გვერდში კომბინატის სხვა მოწინავე საამქროებს. ახლა ახალგაზრდები ბრიგადს ყოველ თვეს გადაჭრიბებით ასრულებენ. თვითონ განსაჯეთ: ასე მოკლე ხანში იმდენად სრულყოფილ თავიანთი ოსტატობა, რომ მათი ნახელავი საზღვარგარეთაც კი იგზავნება. არ შეიძლება არ მოგეწონოთ სუვენირები — „ცისკარი“, „ირმები“, „გვირილა“, ვაზა „კაცი“, სურა „ვარძია“ და სხვ.

თავისუფალ დროს პოეზიაზე, ახალ კინოფილმებზე, მუსიკაზე საუბრობენ (ერთი „ცოდვაც“ გაამბილეს — საკუთარი ლექსები წაუკითხეს ერთმანეთს). ერთ რამეშიც დაემთხვა მათი გემოვნება — კამოირკვა, რომ ყველას ძალიან უყვარს მირზა გელოვანი. აღარც ახსოვთ, თუ ვის დაებადა ეს აზრი პირველად, მთავარი ის არის, რომ მირზა გელოვანის ბრიგადაში ჩარიცხვის იდეა ყველას მოეწონა — მაია და მარინე ხართიშვილს, თამრიკო წერეთელს, თინა და ქეთინო გვერდწითლებს, ლია ლიგაზიშვილს, ქეთინო პავლიაშვილს... თანაც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 35-ე წლისთავი ახლოვდება. სურვილი კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანს მარინე ნაჭყებიას და პარტიული ბიუროს მდივანს იზა ცერიაშვილს გაანდეს, ახალგაზრდების სურვილი ჯერ დირექციამ, ბოლოს კი პარტიის ორგანიზაციის რაიკომმა მიიწონეს.

გაზაფხულის იმ მზიან და ნათელ დღეს იქცა მათი სურვილი საქმედ. ჯერ შესვენების დროს მირზას ლექსები და მისი წერილები მოისმინეს, მერე სახელდახელოდ მოწყობილ მიტინგზე შეიკრიბნენ. თანატოლთა სახელით ბრიგადირმა მაია ხართიშვილმა თქვა სიტყვა: დღეიდან ჩვენი ბრიგადის მეთვრამეტე წელი მირზა იქნება, თითეოეული ჩვენგანი ამის შემდეგ მის წილადაც იმუშაებს, გამომუშავებული თანხა მშვიდობის ფონდში ჩაირიცხებაო.

დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების 35-ე წლისთავმა მირტო მაია ხართიშვილს, ბრიგადის ახალგაზრდებს როდი გაახსენა კიდევ ერთხელ ომში დაღუპული ჭაბუკი პოეტი.

— ჩვენი რაიონის სხვა საწარმოებშიც გაჩნდა მსგავსი სურვილები, — თქვა პარტიის ორგანიზაციის რაკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ი. ოსსურაშვილმა, — ტრიკოტაჟის № 3 ფაბრიკაში, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში“ ვალდებულება იკისრეს იშრომონ დევიზით: „ჩემთვის და იმ ჭაბუკის წილ“.

გათვალისწინებულია სხვა ღონისძიებებიც. მაგალითად, რაიონის უმაღლეს სასწავლებლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, წარმოება-დაწესებულებებში იმართება შეხვედრები სამამულო ომის ვეტერანებთან, საბჭოთა კავშირის გმირებთან, სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში — დათვალიერება-კონკურსები საუკეთესო საბრძოლო დიდების კუთხის და მუზეუმის გამოსავლენად... ღონისძიებები ეწყობა იმ სპეციალური გეგმის მიხედვით, რომელიც პარტიის რაკომმა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავისათვის შეიმუშავა.

გ. ხარებაშვილი,
მიმდინარე ეობს ხელმოწერა პეტიციისა, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოთხოვნები გამალედ ბული შეიარაღების შეწყვეტისა და სრულიად ევროპის კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ბონი. „არ დავუშვათ ბირთვული რაკეტების განლაგება დასავლეთ ევროპაში,. „უზრუნველყოთ მშვიდობა!“ — ამ დევიზით დასავლეთ გერმანიის მსხვილ სამრეწველო ცენტრში ახენში გაიმართა სამი ქვეყნის — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბელგიისა და ჰოლანდიის მშვიდობის მებრძოლთა შეხვედრა.

ახენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის საჭრელ დარბაზში შეიკრიბა ასობით ადამიანი—მუშები, მოსამსახურეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები, „უნდა გვახსოვდეს წარსულის მწარე გამოცდილება, გზა გადავუღობოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კარტერის სამხედრო ავანტიურებს, რომლებიც ახალ კატასტროფას უქადის მსოფლიოს“,—განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, გერმანელთა მშვიდობის სიბჭოს დირექტორატის წევრმა ა. ბერიშმა შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას.

„ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განუკითხავ მოქმედებას, — თქვა მან შემდეგ, — საერთო არა აქვს რა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ერთვნულ ინტერესებთან“.

ახენის შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 5-დან 11 მაისამდე იმართება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მოქმედების კვირეული.

პარიზი. საფრანგეთის მშვიდობის მომხრენი მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ საჭიროა გაიმალოს ფარული კამპანია გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული საფრთხის ზრდის წინააღმდეგ, განუცხადა საკადესის კორესპონდენტს საფრანგეთის სამშვიდობო მოძრაობის ევროპის პრობლემებზე მომუშავე კომისიის მდივანმა ი. შოლიერმა, ჩვენ ვიბრძვით ნატოს საბჭოს ბრიუსელის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ, დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული, სარაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების შესახებ, სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების საკითხებზე სრულიად ევროპის კონფერენციის მოწვევისათვის, აქცია, აღნიშნა ი. შოლიერმა, საფრანგეთის 42 დეპარტამენტში, მიმდინარეობს ხელმოწერა პეტიციისა, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოთხოვნები გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ევროპის კონფერენციის მოწვევის შესახებ.

პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობა დაკისრა

ბელგრადი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციათა შეწყვეტის გამო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისრა ლ. კოლიშევსკის, რომელსაც აქამდე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა.

მოკლედ

ყოველ მხრიდან

6 მაისი

● **ბერლინი.** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ორგანიზაციებში დამთავრდა პარტიული დოკუმენტების კონტროლი. ამ ღონისძიების დროს, რომელიც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იხილავდნენ ამოცანებს, რომლებიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის დეკემბრის პლენუმმა დასახა ქვეყნის წინაშე.

● **ბრიუსელი.** მიმდინარე წლის აპრილში ბელგიაში გაკოტრდა და არსებობა შეწყვიტა 288 სამრეწველო საწარმომ, ხუნუება ბიულეტენი „იურინფორმი“.

● **ვაშინგტონი.** სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლნი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში გაფორებულ წინააღმდეგობას უწევენ ასტრონომიულ დონემდე გადიდებული პენტაგონის ბიუჯეტის შემცირების ყოველგვარ ცდას. აღვირახსნილი ანტისაბჭოურობისა და მილიტარისტული ისტერიის ვითარებაში წარმომადგენელთა პალატამ ხმის უმრავლესობით უარყო დაახლოებით 70 კონგრესმენის წინადადება იმის შესახებ, რომ თუნდაც 3 მილიარდი დოლარით შეემცირებინა 1981 საფინანსო წლის სამხედრო ასიგნებანი.

● **დელი.** ინდოეთის კერალის შტატის მემარცხენე დემოკრატიული ფრონტის მთავრობამ შეიმუშავა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის იაფი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამა, რომლის განხორციელება უახლოეს დროში დაიწყება, ითვალისწინებს 200 ათასი სახლის მშენებლობას ყოველწლიურად.

საზეიმო სხდომა პრაღაში

პრაღა, 6 მაისი. აქ გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიის მიერ ფაშიზმისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისა და ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ ჩეხი ხალხის აჯანყების 35-ე წლისთავს.

სხდომაზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი.

წიგნის ბაზრობა

მეხიკო, 6 მაისი. აქ პირველად გაიხსნა წიგნის საერთაშორისო ბაზრობა, რომელზეც წარმოდგენილია მსოფლიოს თხუთმეტ ქვეყანაში გამოცემული დაახლოებით ასი ათასი დასახელების წიგნი.

ბაზრობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაწილეა საბჭოთა კავშირის წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციები. „მეცდუნაროდნაია კნიგა“ ვრცელი ექსპოზიცია მრავალრიცხოვან მაყურებელთა ყურადღების ცენტრშია. ექსპოზიციაში მთავარი ადგილი უკავია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა დიდ სტენდს.

მეექსიკელთა დიდ ინტერესს იწვევს ესპანურ ენაზე გამოცემული ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყმირი“.

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ჯუნგლი

ვაშინგტონი

აგრესიული გეგმები

ვაშინგტონი, 6 მაისი. როგორც ეტყობა, ვაშინგტონის ადმინისტრაციას ჭკუა ვერ ასწავლა ირანში ჩაფლავებულმა აგრესიულმა აქციამ და ახლა იგი გაფაციცებით ამზადებს ახალ შეიარაღებულ პროვოკაციებს ამ ქვეყნის წინააღმდეგ. სწორედ ასე შეაფასეს ადგილობრივმა მემომხილველებმა ეროვნული უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა, რომელიც კემპ-დევიდში გაიმართა პრეზიდენტ ჯ. კარტერის თავმჯდომარეობით. თეთრი სახლის სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ სხდომაზე განიხილეს „ზოგიერთი პოლიტიკური საკითხი და მათი გადაწყვეტის სტრატეგია“. პრესისათვის განკუთვნილ ცნობაში არაფერია ნათქვამი ირანის საკითხის განხილვაზე, მაგრამ თეთრი სახლის წრეებში აღნიშნავენ, რომ იგი ცენტრალური იყო სხდომაზე. როგორც ამერიკის პრესა იუწყება, კარტერის უახლოესი სამხედრო და სამოქალაქო მრჩეველები ირანის საწინააღმდეგო ახალი პროვოკაციული დივერსიების გეგმებზე ბჭობდნენ.

ტოკიო, როგორც იაპონიის სატელევიზიო კომპანია ენ-ეინჩი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროზე ქალაქ „ლოს-ანჯელესის“ რაიონში შედგა სამხედრო-საზღვაო ბაზის ნავმისადგომებზე მიიტანეს და სასწრაფოდ ტვირთავენ ატომურ ბირთვულ ბომბებს, „მ-60“ ტიპის ტანკებს, მძიმე საართილერიო ქვემეხებს, სამხედრო სატვირთო ავტომობილებს, სურსათ-სანოვაგეებსა და მედიკამენტებს. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მთელი ეს სამხედრო ტექნიკა შენიღბვის მიზნით უფადანოსფრად არის შეღებილი, რადგან უფადანოში განსაზღვრახული აქვს განაგრძოს სპარსეთის ყურის რაიონში დაძაბულობის გაგრძელების კურსი, და ხელს არ იღებს ირანის რევოლუციის მოხრჩობის გეგმებზე.

ფარსის საგუბერნიო იმოწმება ქერმანის რაიონის ყანდარმერიის უფროსის განცხადებას და იუწყება, რომ კვირას ოთხი ამერიკული ვერტმფრინავი შეიჭრა ირანის საჰაერო სივრცეში, ერთი მათგანი იძულებით დაჯდა უდაბურ რაიონში ბირჯანდის საგუშაგოდან 129 კილომეტრზე.

ირანის ისლამური რესპუბლიკის გაერთიანებულმა შტაბმა დაადასტურა ეს ცნობა და დასძინა, რომ ამერიკის ვერტმფრინავი, რომელიც ეკიპაჟმა მიატოვა, ბალე თეერანში გაიგზავნება.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მოსახლეობა

ჰანოი. აქ გამოქვეყნებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მოსახლეობამ 1979 წლის ოქტომბერში 52 მილიონ 741 ათასს მიაღწია. ვიეტნამის გაერთიანების შემდეგ ქვეყნის მოსახლეობა ხუთ წელიწადში 5 მილიონ 100 ათასით გაიზარდა.

ფოტოინფორმაცია

ამერიკის შეერთებული შტატების რთული ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე ტვირთად აწვება მშრომელებს. ქვეყანაში დღითი დღე მატულობს უმუშევრობა. ახლა აქ უმუშევართა რიცხვი 6,5 მილიონს შეადგენს. განსაკუთრებით განიცდიან უმუშევრობას ზანგი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ „ზედმეტ ადამიანთა“ რიგებს ემატებიან.

სურათზე: უმუშევართა რიგი ნიუ-იორკის ერთ-ერთ შრომის ბირჟაზე.

საკადესის ფოტოქრონიკა.

საელჩოს შტურმი

ლონდონი, 6 მაისი. ინგლისის არმიის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალურმა ქვედანაყოფებმა გუშინ საღამოს იერიში მიიტანეს ირანის ლონდონის საელჩოზე, რომელიც 30 აპრილიდან ხელთ იგდეს შეიარაღებულმა პირებმა, თავს ირანელებად რომ ასაღებდნენ. საელჩოს შენობაში მყოფ მძევალთა შორის, ირანის დიპლომატიური პერსონალის გარდა, აღმოჩნდნენ ინგლისელი მოქალაქენიც.

ტერორისტებთან უკანასკნელი დღეების მანძილზე მოწყობილ მოლაპარაკებს არავითარი კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.

გუშინ საღამოს ტერორისტებმა მოკლეს ორი მძევალი და განაცხადეს, რომ ყოველ ნახევარ საათში თითო კაცს დახვრეტენ. ამის შემდეგ გადაწყდა იერიში მიეტანათ საელჩოზე, რომლის დროს სამი ტერორისტი დახოცეს, ორი დაატყვევეს და ერთი დაჭრეს. 19 მძევალი განთავისუფლებულია.

განმარტავენ რა ინგლისის ხელისუფალთა მოქმედებას, ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ: საელჩოზე იერიშის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ტერორისტები დახოცავდნენ არა მარტო ირანელ დიპლომატებს, არამედ შენობაში მყოფ ინგლისელ მოქალაქეებსაც.

ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს საზღვარგარეთ თავისი სამხედრო ბაზების ქსელის გაფართოებასა და გაფართოებას პოლიტიკას (გაზეთებიდან).

ვაშინგტონელი ტორეადორი.

გ. ლომაძის ნახატი.

„კომუნისტის“ ბიმოზილვა

